

შპს „ორი ნაბიჯი“

2024 წლის
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ორი ნაბიჯის“ მესაკუთრეებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ორი ნაბიჯის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშებზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშებს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშების გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშები არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშების შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებს და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის და კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცვას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებს.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი და კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

17 ოქტომბერი 2025 წელი

- შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
17 ოქტომბერი 2025 წელი



შპს „ორი ნაბიჯი“
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	5	79,983	71,131	77,347	70,474
საინვესტიციო ქონება	5	1,266	1,284	1,266	1,284
აქტივები გამოყენების უფლებით	6	102,418	104,165	102,418	104,165
არამატერიალური აქტივები		6,223	4,834	6,223	4,834
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	6	-
გაცემული სესხები		-	-	1,919	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		189,890	181,414	189,179	180,757
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	8	84,951	70,513	84,951	70,513
წინასწარ გადახდილი გადასახადები		38	86	-	-
გაცემული სესხები		-	-	-	498
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	24,676	12,451	29,107	14,664
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	20,077	32,401	18,656	31,839
სულ მოკლევადიანი აქტივები		129,742	115,451	132,714	117,514
სულ აქტივები		319,632	296,865	321,893	298,271
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი	15				
განთავსებული კაპიტალი (დაგროვილი ზარალები)/ გაუნაწილებელი მოგება		557	557	557	557
		(2,516)	1,771	305	3,155
სულ კაპიტალი		(1,959)	2,328	862	3,712
გრძელვადიანი ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	6	81,717	84,100	81,717	84,100
სესხები და კრედიტები		1,449	310	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	246	299	246	299
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		83,412	84,709	81,963	84,399
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები		-	31	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულება	11	5,409	3,271	5,409	3,271
საიჯარო ვალდებულებები	6	27,977	21,730	27,977	21,730
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	203,215	181,464	204,049	181,826
საგადასახადო ვალდებულებები		1,578	3,332	1,633	3,333
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		238,179	209,828	239,068	210,160
სულ ვალდებულებები		321,591	294,537	321,031	294,559
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		319,632	296,865	321,893	298,271

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-42 გვერდებზე.

შპს „ორი ნაბიჯი“
 2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა
 სრული შემოსავლის ანგარიშგება

’000 ლარი	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023	2024	2023
შემოსავალი	11	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486
გაყიდვების თვითღირებულება	12	(1,112,099)	(906,479)	(1,112,099)	(906,479)
საერთო მოგება		243,481	210,014	243,481	210,007
სხვა შემოსავალი		1,820	3,083	1,278	3,083
გაყიდვების და კომერციული ხარჯები	13	(148,318)	(120,123)	(147,006)	(118,872)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(20,856)	(18,539)	(20,788)	(18,535)
სხვა ხარჯები		(1,963)	(1,069)	(1,618)	(1,576)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		74,164	73,366	75,347	74,107
საპროცენტო ხარჯი	6	(8,037)	(7,272)	(7,919)	(7,249)
საპროცენტო შემოსავალი		1,019	853	1,055	855
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(4,173)	423	(4,073)	441
წმინდა ფინანსური ხარჯები		(11,191)	(5,996)	(10,937)	(5,953)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		62,973	67,370	64,410	68,154
მოგების გადასახადის ხარჯი		(11,434)	(10,127)	(11,434)	(10,127)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		51,539	57,243	52,976	58,027

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 17 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


არჩილ მელიქაძე
 გენერალური დირექტორი

შოთა გიორგაძე
 ფინანსური დირექტორი

შპს „ორი ნაბიჯი“
 2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა
 სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023	2024	2023
შემოსავალი	11	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486
გაყიდვების თვითღირებულება	12	(1,112,099)	(906,479)	(1,112,099)	(906,479)
საერთო მოგება		243,481	210,014	243,481	210,007
სხვა შემოსავალი		1,820	3,083	1,278	3,083
გაყიდვების და კომერციული ხარჯები	13	(148,318)	(120,123)	(147,006)	(118,872)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(20,856)	(18,539)	(20,788)	(18,535)
სხვა ხარჯები		(1,963)	(1,069)	(1,618)	(1,576)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		74,164	73,366	75,347	74,107
საპროცენტო ხარჯი	6	(8,037)	(7,272)	(7,919)	(7,249)
საპროცენტო შემოსავალი		1,019	853	1,055	855
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(4,173)	423	(4,073)	441
წმინდა ფინანსური ხარჯები		(11,191)	(5,996)	(10,937)	(5,953)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		62,973	67,370	64,410	68,154
მოგების გადასახადის ხარჯი		(11,434)	(10,127)	(11,434)	(10,127)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		51,539	57,243	52,976	58,027

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 17 ოქტომბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:


 არჩილ მეელიძე
 გენერალური დირექტორი


 შოთა გიორგაძე
 ფინანსური დირექტორი

ჯგუფი

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	557	1,916	2,473
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	57,243	57,243
ოპერაციები მესაკუთრებთან			
დივიდენდები	-	(57,388)	(57,388)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	557	1,771	2,328

ჯგუფი

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	557	1,771	2,328
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	51,539	51,539
ოპერაციები მესაკუთრებთან			
დივიდენდები	-	(55,826)	(55,826)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	557	(2,516)	(1,959)

კომპანია

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	557	2,516	3,073
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	58,027	58,027
ოპერაციები მესაკუთრებთან			
დივიდენდები	-	(57,388)	(57,388)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	557	3,155	3,712

კომპანია

'000 ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	557	3,155	3,712
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	52,976	52,976
ოპერაციები მესაკუთრებთან			
დივიდენდები	-	(55,826)	(55,826)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	557	305	862

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-42 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2024	2023	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან					
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		62,973	67,370	64,410	68,154
კორექტირებები:					
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური					
აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია		16,875	13,561	16,866	13,557
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა		25,932	22,096	25,932	22,096
ძირითადი საშუალებების გაყიდვითა და					
ჩამოწერით განპირობებული წმინდა ზარალი		969	1,159	628	1,159
საიჯარო მოდიფიცირებით განპირობებული					
შემოსულობა		-	(1,593)	-	(1,593)
საპროცენტო ხარჯი		8,037	7,272	7,919	7,249
საპროცენტო შემოსავალი		(1,019)	(853)	(1,055)	(855)
სავალუტო კურსის ცვლილებებით					
განპირობებული წმინდა შემოსულობა		4,173	(423)	4,073	(441)
		117,940	108,589	118,773	109,326
ცვლილებები:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(12,225)	(1,556)	(14,443)	(2,463)
მარაგებში		(14,438)	(7,082)	(14,438)	(7,082)
წინასწარ გადახდილ გადასახადებში		48	72	-	-
საგადასახადო ვალდებულებებში		(1,754)	1,411	(1,700)	1,412
სახელშეკრულებო ვალდებულებებში		2,138	(202)	2,138	(202)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		21,767	21,438	22,241	21,796
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი					
ნაკადები მოგების გადასახადის და პროცენტის					
გადახდამდე/მიღებამდე		113,476	122,670	112,571	122,787
მიღებული პროცენტი		972	841	965	841
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი					
პროცენტი	6	(7,919)	(7,249)	(7,919)	(7,249)
გადახდილი მოგების გადასახადი		(11,434)	(10,127)	(11,434)	(10,127)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა					
ფულადი სახსრები		95,095	106,135	94,183	106,252
ფულადი ნაკადები საინვესტიციო					
საქმიანობებიდან					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(25,853)	(21,997)	(23,526)	(21,336)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	27	-	27
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,260)	(1,298)	(2,260)	(1,298)
გაცემული სესხები		-	-	(1,464)	(509)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	(6)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული					
წმინდა ფულადი სახსრები		(28,113)	(23,268)	(27,256)	(23,116)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან					
სესხებიდან მიღებული შემოსულობები		904	287	-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	6	(24,071)	(19,744)	(24,071)	(19,744)
გადახდილი დივიდენდები	15(b)	(55,826)	(57,388)	(55,826)	(57,388)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა					
ფულადი სახსრები		(78,993)	(76,845)	(79,897)	(77,132)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების					
წმინდა ზრდა		(12,011)	6,022	(12,970)	6,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები					
წლის დასაწყისში		32,401	26,613	31,839	26,065
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად					
სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(313)	(234)	(213)	(230)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები					
წლის ბოლოს	9	20,077	32,401	18,656	31,839

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 -42 გვერდებზე.

1. ზოგადი ინფორმაცია

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა. გარდა ამისა, 2025 წლის აპრილში შეერთებული შტატების მიერ გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტზე ტარიფების დაწესებამ ხელი შეუწყო გლობალურ ეკონომიკურ გაურკვევლობას. აღნიშნული ზომები გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებსა და ინვესტიორების განწყობაზე. ტარიფებისა და სხვა პროტექციონისტული ზომების შემოღებამ, ნავთობის გლობალური ფასების არასტაბილურობამ და რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში, „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს შპს „ორი ნაბიჯი“ (კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“ და ცალ-ცალკე როგორც „ჯგუფის საწარმოები“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც 2009 წლის 17 აგვისტოს დარეგისტრირდა. კომპანიის იურიდიული მისამართია: მინდელის ქუჩა #3, შენობა #3, კომერციული ფართი #1, ქ. თბილისი, საქართველო და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204571668.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში საცალო მაღაზიების ქსელის მართვა. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 529 და 470 საცალო მაღაზია, შესაბამისად.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- მის 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია შპს "ორი ნაბიჯი დელივერი", დაარსებული 2022 წლის 17 მარტს;
- მის 60%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია შპს "რითეილ რიალ ისთეითი", დაარსებული 2024 წლის 7 ოქტომბერს.
- მის 60%-იან, არაპირდაპირ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია შპს "ზინატი", დაარსებული 2023 წლის 4 სექტემბერს;
- მის 60%-იან, არაპირდაპირ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია შპს "ბურდო", დაარსებული 2023 წლის 20 ნოემბერს; და
- მის 60%-იან, არაპირდაპირ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია შპს "ბუკი კაპიტალი", დაარსებული 2024 წლის 23 ოქტომბერს

შპს „ორი ნაბიჯი დელივერის“ ძირითადი საქმიანობაა კომპანიის მაღაზიებიდან პროდუქციის ონლაინ შეძენების მიტანის სერვისის ორგანიზება და მართვა შემდეგი ვებგვერდის საშუალებით: www.2nabiji.ge. შპს „რითეილ რიალ ისთეითი“ ჰოლდინგურ საწარმოს წარმოადგენს. შპს „ზინატი“-ს, შპს „ბურდო“-ს და შპს „ბუკი კაპიტალი“-ს ძირითადი საქმიანობაა უძრავი ქონების შეძენა, განვითარება და გაქირავება.

ჯგუფის/კომპანიის საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი:

მესაკუთრეები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გოჩა ცქიტაშვილი	33.34%	33.34%
გიორგი ჩხეიძე	33.33%	33.33%
კახა ბექაური	33.33%	33.33%
	100.00%	100.00%

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს/კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 6 და 21 (1)(i) - საიჯარო ვადის განსაზღვრა;

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის/კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტებისა და შეფასების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 17 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. ძირითადი საშუალებები

ჯგუფი

'000 ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	მაღაზიის ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერები და ტექნიკა	საიჯარო კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	47,015	12,268	25,693	4,693	1,636	91,305
შესყიდვები	662	10,084	2,411	6,831	1,810	199	21,997
გასვლები და ჩამოწერები	-	(1,435)	(141)	(298)	(92)	(29)	(1,995)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	662	55,664	14,538	32,226	6,411	1,806	111,307
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	662	55,664	14,538	32,226	6,411	1,806	111,307
შესყიდვები	2,326	10,670	2,647	7,025	2,734	451	25,853
გასვლები და ჩამოწერები	(344)	(1,539)	(162)	(85)	-	(31)	(2,161)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,644	64,795	17,023	39,166	9,145	2,226	134,999
ცვეთა							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	(16,071)	(4,479)	(5,242)	(1,708)	(545)	(28,045)
ცვეთის დარიცხვა	-	(5,936)	(1,565)	(4,484)	(829)	(153)	(12,967)
გასვლები და ჩამოწერები	-	528	97	126	65	20	836
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(21,479)	(5,947)	(9,600)	(2,472)	(678)	(40,176)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	-	(21,479)	(5,947)	(9,600)	(2,472)	(678)	(40,176)
ცვეთის დარიცხვა	(7)	(6,805)	(1,870)	(5,870)	(1,141)	(291)	(15,984)
გასვლები და ჩამოწერები	3	959	136	26	-	20	1,144
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(4)	(27,325)	(7,681)	(15,444)	(3,613)	(949)	(55,016)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	-	30,944	7,789	20,451	2,985	1,091	63,260
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	662	34,185	8,591	22,626	3,939	1,128	71,131
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,640	37,470	9,342	23,722	5,532	1,277	79,983

კომპანია

'000 ლარი

თვითღირებულება

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს

შესყიდვები

გასვლები და ჩამოწერები

ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს

ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს

შესყიდვები

გასვლები და ჩამოწერები

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს

ცვეთა

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს

ცვეთის დარიცხვა

გასვლები და ჩამოწერები

ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს

ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს

ცვეთის დარიცხვა

გასვლები და ჩამოწერები

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს

წმინდა საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს

ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს

მაღაზიის ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერები და ტექნიკა	საიჯარო კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
47,015	12,268	25,693	4,693	1,636	91,305
10,085	2,411	6,831	1,810	199	21,336
(1,435)	(141)	(298)	(92)	(29)	(1,995)
55,665	14,538	32,226	6,411	1,806	110,646
55,665	14,538	32,226	6,411	1,806	110,646
10,670	2,759	7,025	2,734	338	23,526
(1,539)	(162)	(85)	-	(31)	(1,817)
64,796	17,135	39,166	9,145	2,113	132,355
(16,071)	(4,479)	(5,242)	(1,708)	(545)	(28,045)
(5,932)	(1,565)	(4,484)	(829)	(153)	(12,963)
528	97	126	65	20	836
(21,475)	(5,947)	(9,600)	(2,472)	(678)	(40,172)
(21,475)	(5,947)	(9,600)	(2,472)	(678)	(40,172)
(6,805)	(1,870)	(5,870)	(1,141)	(291)	(15,977)
959	136	26	-	20	1,141
(27,321)	(7,681)	(15,444)	(3,613)	(949)	(55,008)
30,944	7,789	20,451	2,985	1,091	63,260
34,190	8,591	22,626	3,939	1,128	70,474
37,475	9,454	23,722	5,532	1,164	77,347

საინვესტიციო ქონება მოიცავს წალკაში მდებარე მიწებსა და შენობებს, რომლებიც ჯგუფის/კომპანიის საკუთრებაშია და აქვს განუსაზღვრელი სამომავლო გამოყენება. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ საბალანსო ღირებულებასთან.

6. იჯარები

ჯგუფის/კომპანიის იჯარები დაკავშირებულია საცალო მაღაზიების, საწყობებისა და ადმინისტრაციული ოფისებისთვის კომერციული ფართების გაქირავებასთან. მაღაზიათა უმეტესობა მდებარეობს თბილისში, ასევე იჯარით აღებული ქონებები მდებარეობს რუსთავეში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არის გრძელვადიანი ხელშეკრულებით ან არსით. რადგან საიჯარო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდებისგან.

	მინიმალური საწყისი სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდი	ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადის შეფასება შესყიდვისას
მაღაზიები/საწყობები/ადმინისტრაციული ოფისები	9-15	6

ჯგუფი/კომპანია ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის/კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი/კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის/კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

იჯარის სავალდებულო აღსრულების პერიოდის განსაზღვრისას, ჯგუფი/კომპანია ასევე ითვალისწინებს ფიქსირებული საიჯარო კეთილმოწყობის მიტოვების ან დაშლის ხარჯებს, ადგილმდებარეობის ცვლილების ხარჯებს, და ა.შ.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი/კომპანია ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც იჯარის დაწყების თარიღისთვის იქნა განსაზღვრული. 2024 და 2023 წლებში გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი 7% - 14%-მდე დიაპაზონში მერყეობდა.

'000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
აქტივები გამოყენების უფლებით				
ნაშთი 1 იანვარს	104,165	114,787	104,165	114,787
შესყიდვები	24,185	19,931	24,185	19,931
ცვეთის დარიცხვა	(25,932)	(22,096)	(25,932)	(22,096)
მოდIFIცირება	-	(8,457)	-	(8,457)
მთლიანი ნაშთი 31 დეკემბერს	214,582	190,397	214,582	190,397
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერს	(112,164)	(86,232)	(112,164)	(86,232)
ნაშთი 31 დეკემბერს	102,418	104,165	102,418	104,165

შპს „ორი ნაბიჯი“
2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

'000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
საიჯარო ვალდებულება				
ნაშთი 1 იანვარს	105,830	116,379	105,830	116,379
შესყიდვები	24,185	19,931	24,185	19,931
პროცენტის დარიცხვა	7,919	7,249	7,919	7,249
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	3,750	(686)	3,750	(686)
მოდIFIიცირება	-	(10,050)	-	(10,050)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(24,071)	(19,744)	(24,071)	(19,744)
გადახდილი პროცენტი	(7,919)	(7,249)	(7,919)	(7,249)
ნაშთი 31 დეკემბერს	109,694	105,830	109,694	105,830

ჯგუფის/კომპანიის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-17 შენიშვნაში.

(a) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	(105,830)	(116,379)	(105,830)	(116,379)
საიჯარო გადახდები	24,071	19,744	24,071	19,744
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(81,759)	(96,635)	(81,759)	(96,635)
სხვა ცვლილებები				
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	7,919	7,249	7,919	7,249
პროცენტის დარიცხვა	(7,919)	(7,249)	(7,919)	(7,249)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(3,750)	686	(3,750)	686
მოდIFIიცირება	-	10,050	-	10,050
შესყიდვები	(24,185)	(19,931)	(24,185)	(19,931)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(27,935)	(9,195)	(27,935)	(9,195)
ნაშთი 31 დეკემბერს	(109,694)	(105,830)	(109,694)	(105,830)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	5,093	1,737	5,093	1,737
მოთხოვნები მესაკუთრეების მიმართ*	8,967	-	8,967	-
სხვა მოთხოვნები	967	794	5,395	3,007
	15,027	2,531	19,455	4,744
არაფინანსური აქტივები				
გადახდილი ავანსები	9,649	9,920	9,652	9,920
	24,676	12,451	29,107	14,664

ჯგუფის/კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის შესახებ დამატებით განხილულია მე-17 შენიშვნაში.

* 2024 წლის განმავლობაში, შპს „ორი ნაბიჯი“-მ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდები ჯამური ოდენობით 64,793 ათასი ლარი. აღნიშნული დივიდენდის ოდენობიდან, 8,967 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდის განაწილება იურიდიულად შეუძლებლად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, 8,967 ათასი ლარის ოდენობით ჯამური თანხა დაექვემდებარა კომპანიისთვის დაბრუნებას და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის აღიარებულ იქნა, როგორც მიმდინარე მოთხოვნა მესაკუთრეების მიმართ.

8. მარაგები

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
'000 ლარი				
საკვები	46,922	38,598	46,922	38,598
არასაკვები	18,446	13,974	18,446	13,974
სასმელი	17,486	15,814	17,486	15,814
სხვა	2,097	2,127	2,097	2,127
	84,951	70,513	84,951	70,513

2024 წელს, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაყიდვების თვითღირებულების სახით აღიარებული საცალო პროდუქცია და სხვა მარაგები შეადგენდა 1,110,746 ათას ლარს (2023: 905,167 ათასი ლარი). მარაგების ჩამოწერა და ჩამოწერების აღდგენა შეტანილია გაყიდვების თვითღირებულებაში.

2024 წელს, უმოძრაო მარაგებმა, რომლებიც ჩამოწერილი იქნა ნულის ტოლი ოდენობით ნეტო-რეალიზებად ღირებულებამდე და ჯგუფის/კომპანიის მარაგების ყველა სხვა დანაკარგმა 10,268 ათასი ლარი შეადგინა (2023: 7,833 ათასი ლარი).

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
'000 ლარი				
ფულადი სახსრები სალაროში	4,918	3,958	4,918	3,958
ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში	12,970	27,234	11,688	26,700
ფულადი სახსრები გზაში	2,189	1,209	2,050	1,181
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	20,077	32,401	18,656	31,839

ფულადი სახსრები გზაში წარმოადგენს ნაღდ ფულს ტერმინალით განხორციელებული გადახდებიდან და შეგროვებულ ფულად სახსრებს გზაში, რომლებიც ჯერ არ არის ასახული ჯგუფის/კომპანიის საბანკო ანგარიშებზე.

ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი დამატებით განხილულია მე-17 შენიშვნაში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

‘000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები				
სახელფასო ვალდებულებები	246	299	246	299
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	193,342	171,724	193,315	171,707
სახელფასო ვალდებულებები	4,268	4,230	4,268	4,230
სხვა ვალდებულებები	4,917	5,503	5,818	5,888
	202,527	181,457	203,401	181,825
არაფინანსური ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	688	7	648	1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	203,461	181,763	204,295	182,125

ჯგუფის/კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და
ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება დამატებით განხილულია მე-17 შენიშვნაში.

11. შემოსავალი

‘000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486
	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486

(a) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა

შემდეგ ცხრილში შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

‘000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები				
საქართველო	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486
	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486
შემოსავლის ძირითადი წყაროები				
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან				
საკვები	907,123	762,973	907,123	762,973
სასმელი	221,789	174,445	221,789	174,445
არასაკვები	205,514	161,461	205,514	161,461
	1,334,426	1,098,879	1,334,426	1,098,879
შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან და პროდუქციის წარდგენის საფასურისგან	21,154	17,614	21,154	17,607
	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486
შემოსავლის აღიარების ვადები				
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული დროის გარკვეულ მომენტში	1,334,426	1,098,879	1,334,426	1,098,879
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული გარკვეული დროის მანძილზე	21,154	17,614	21,154	17,607
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1,355,580	1,116,493	1,355,580	1,116,486

(ბ) სახელშეკრულებო ნაშთები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი/კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

’000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
"სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები	6,060	2,531	10,488	4,744
სახელშეკრულებო ვალდებულებები	5,409	3,271	5,409	3,271

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო აქტივები მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები გამოუყენებელ ლოიალობის ქულებს მოიცავს. მომხმარებელთა გამოუყენებელი ლოიალობის ქულების ოდენობა იქნება აღიარებული შემოსავლის სახით, როდესაც მოხდება კლიენტების მიერ ქულების გამოყენება.

1,685 ათასი ლარის ოდენობით თანხა პერიოდის დასაწყისში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებებში, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის ჯგუფის/კომპანიის მიერ აღიარებულ იქნა, როგორც შემოსავალი (2023 წლის 31 დეკემბერი: 202 ათასი ლარი).

არ არსებობს ინფორმაცია ნარჩენი შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, რომელთაც აქვთ თავდაპირველი მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1 წელი ან ნაკლები (ფასს 15-ით ნებადართულის შესაბამისად).

(ც) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ხასიათისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის ფარგლებში
საქონლის გაყიდვა	მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, საქონელი იყიდება მომხმარებელზე მაღაზიებში „გაყიდვის წერტილში“ (POS – Point of Sale) ან მიწოდებულია კლიენტისთვის. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებელზე „გაყიდვების წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულადი სახსრების მიღების/საკრედიტო ბარათით გადახდის სანაცვლოდ. კლიენტებს შეუძლიათ მიიღონ გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებები - ანუ ლოიალობის ქულები (იხ. ქვემოთ).	შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია შემოსავლად გარიგების ფასის ოდენობას აღიარებს, რაც გამოირიცხავს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულება გაყიდვებთან დაკავშირებული ფასდაკლებების და დღგ-ს გამოკლებით.
სარეკლამო საქმიანობა და პროდუქციის წარდგენის საფასური	მსგავსი ხელშეკრულებების შემთხვევაში, მომწოდებლებს საფასური მათი პროდუქციის სასურველ სივრცეში წარმოდგენისთვის ეკისრებათ. შესასრულებელი ვალდებულება სრულდება მომწოდებლისთვის სარეკლამო მომსახურების გაწევის დროს.	შემოსავალი აღიარდება ყოველი თვის ბოლოს გაყიდულ საქონელზე წინასწარ შეთანხმებული განაკვეთის გამოყენებით.
ლოიალობის პროგრამა	მომხმარებლებს, რომლებიც ყიდულობენ პროდუქტებს, შეუძლიათ გაწევრიანდნენ ჯგუფის/კომპანიის მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამაში და მიიღონ ქულები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ჯგუფის/კომპანიის სააქციო პროდუქტების მომავალი შესყიდვებისას. ქულები დაგროვებადი ხასიათისაა და მათ არ გასდით ვადა.	ჯგუფი/კომპანია მიღებული საზღაურის ნაწილს ლოიალობის ქულებზე ანაწილებს. აღნიშნული განაწილება ფარდობით ინდივიდუალურ გაყიდვის ფასებზე არის დაფუძნებული. ლოიალობის პროგრამაზე განაწილებული ოდენობა გადავადებულია და აღიარდება შემოსავლის სახით, როდესაც მოხდება კლიენტების მიერ ლოიალობის ქულების გამოყენება ან როდესაც კლიენტების მიერ ლოიალობის ქულების გამოყენების ალბათობა ნაკლებად სავარაუდო ხდება. გადავადებული შემოსავალი წარმოდგენილია, სახელშეკრულებო ვალდებულებების სახით.

12. გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
საკვები	766,987	637,230	766,987	637,230
არასაკვები	173,335	136,222	173,335	136,222
სასმელი	171,777	133,027	171,777	133,027
	1,112,099	906,479	1,112,099	906,479

13. გაყიდვების და კომერციული ხარჯები

’000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა				
გასამრჯელოები	66,901	50,900	65,275	49,741
ცვეთა და ამორტიზაცია	41,877	34,484	41,877	34,484
კომუნალური ხარჯები	14,956	13,580	14,956	13,580
ბანკის საკომისიო	8,193	6,222	8,035	6,136
ტექნიკური მხარდაჭერა	3,993	4,129	3,993	4,129
ფლაერები და სხვა რეკლამა	1,104	1,467	1,104	1,461
იჯარა*	1,145	504	1,145	504
სხვა	10,149	8,837	10,621	8,837
	148,318	120,123	147,006	118,872

*საიჯარო ხარჯი შედგება საცალო მაღაზიებისთვის კომერციული ფართის იჯარისთვის განხორციელებული ცვალებადი საიჯარო გადახდებისგან. ყოველთვიური ცვალებადი საიჯარო გადახდები გამოითვლება მაღაზიის წინასწარ განსაზღვრული განაკვეთისა და შემოსავლის მიხედვით.

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

’000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა				
გასამრჯელოები	15,721	14,233	15,706	14,233
ცვეთა და ამორტიზაცია	930	1,173	921	1,169
პროფესიული მომსახურების და საკონსულტაციო ხარჯები*	606	318	606	318
სხვა	3,599	2,815	3,555	2,815
	20,856	18,539	20,788	18,535

* პროფესიული მომსახურების და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს ჯგუფის/კომპანიის მიერ აუდიტორული ფირმებისთვის აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის გადახდილ საფასურს დაახლოებით 208 ათასი ლარის ოდენობით (2023: 90 ათასი ლარი).

15. კაპიტალი

(a) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. კომპანიაში მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროადადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმების უფლებით.

2022 წლის 1 იანვრიდან მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი ამოქმედდა. ახალ კანონს შემოაქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის რეგულირება, განთავსებული კაპიტალის ვადების დადგენით.

(b) დივიდენდები

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ გაანაწილონ დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ მათი მთლიანი აქტივების ოდენობა ფარავს განთავსებულ კაპიტალს დამატებული მთლიანი ვალდებულებები, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, განაწილების შედეგად. 2024 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 55,826 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები მის მესაკუთრეებზე (2023: 57,388 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა 7.

16. კაპიტალის მართვა

ჯგუფს/კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ჯგუფის/კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს კაპიტალის ძლიერი ბაზა, ჯგუფის/კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის/კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის/კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი/კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს.

წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში ჯგუფის/კომპანიის მიდგომის ცვლილებას.

არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ ექვემდებარებიან გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

17. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა/კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი/კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 17 (b) (ii);
- ლიკვიდურობის რისკი - შენიშვნა 17 (b)(iii);
- საბაზრო რისკი - შენიშვნა 17 (b)(iv).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს მესაკუთრეებს.

ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის/კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება ჯგუფის/კომპანიის გაცემულ სესხებთან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება			
	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
'000 ლარი				
გაცემული სესხები	-	-	1,919	498
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,027	2,531	19,455	4,744
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15,159	28,443	13,738	27,881
	30,186	30,974	35,112	33,123

საბანკო ნაშთები

საბანკო ნაშთები განთავსებულია კარგი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში. საბანკო ნაშთების მნიშვნელოვანი ნაწილი B მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგის მქონე ორ ქართულ ბანკშია განთავსებული.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის/კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება ჯგუფის/კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი/კომპანია არ არის არსებითად დაქვემდებარებული საკრედიტო რისკს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს/კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ჯგუფის/კომპანიის მდგომარეობა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შემდგომში დაგეგმვად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის/კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ჯგუფი/კომპანია ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს მისი მუდმივი კლიენტებისგან.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

ჯგუფი

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	109,694	128,847	35,758	89,002	4,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	202,773	202,773	202,527	246	-
სესხები და კრედიტები	1,449	2,754	-	-	2,754
	313,916	334,374	238,285	89,248	6,841

ჯგუფი

'000 ლარი

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
საიჯარო ვალდებულება					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	105,830	124,812	30,027	91,572	3,213
სესხები და კრედიტები	181,756	181,756	181,457	299	-
	341	620	31	-	589
	287,927	307,188	211,515	91,871	3,802

კომპანია

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	109,694	128,847	35,758	89,002	4,087
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	203,647	203,647	203,401	246	-
	313,341	332,494	239,159	89,248	4,087

კომპანია
31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება	105,830	124,812	30,027	91,572	3,213
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	182,124	182,124	181,825	299	-
	287,954	306,936	211,852	91,871	3,213

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ჰქონდეს მოსალოდნელზე მნიშვნელოვნად ადრე ან არსებითად განსხვავებული ოდენობით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის/კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის/კომპანიის არცერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ ატარებს ცვლად საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად ჯგუფი/კომპანია არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკს.

სავალუტო რისკი

ჯგუფი/კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე შესყიდვების და რეალიზაციის იმ პოზიციებზე, რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის/კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

ჯგუფი

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	160	125
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21	4
სესხები და კრედიტები	(840)	-
საიჯარო ვალდებულება	(101,705)	(99,933)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,561)	(858)
წმინდა დაქვემდებარება	(103,925)	(100,662)

შპს „ორი ნაბიჯი“
2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

კომპანია

'000 ლარი

	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	160	125
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22	4
გაცემული სესხები	1,260	4
საიჯარო ვალდებულება	(101,705)	(99,933)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,561)	(858)
წმინდა დაქვემდებარება	(101,824)	(100,662)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი 2024	საშუალო კურსი 2023	საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ კურსი 31 დეკემბერი 2024	საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ კურსი 31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894

მგრძნობელობის ანალიზი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი			
	ჯგუფი		კომპანია	
	გამყარება	შესუსტება	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2024				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	10,393	(10,393)	10,182	(10,182)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს ჯგუფი/კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლადგანაკვეთიან ინსტრუმენტებზე. თუმცა, ახალი სესხის და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის/კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფის/კომპანიის პროცენტთან ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
’000 ლარი				
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,077	32,401	18,656	31,839
გაცემული სესხები	-	-	1,919	498
სესხები და კრედიტები	(1,449)	(341)	-	-
	18,628	32,060	20,575	32,337

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი/კომპანია არ აღრიცხავს მის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს. შესაბამისად, ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნება გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

18. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი და კომპანია დაქვემდებარებულნი არიან სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის/კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	ჯგუფი		კომპანია	
	2024	2023	2024	2023
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები				
ხელფასები და ბონუსები	3,146	3,536	3,146	3,536
	3,146	3,536	3,146	3,536

2023 წლის 1 მარტს, ჯგუფმა/კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება ხუთ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრთან და მიანიჭა მათ, მოვლენებსა და გარემოებებზე დამოკიდებული, გრძელვადიანი დასაქმებულთა გასამრჯელო. ფინანსური წლისთვის, წინასწარ განსაზღვრული ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPI) მიხედვით უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ბონუსის ოდენობის თავდაპირველი განსაზღვრის შემდეგ, ჯამური ბონუსის ოდენობა ორ განცალკევებულ ჯილდოდ იქნა გაყოფილი:

ჯილდო N1 მოიცავს დასაქმებულის ჯამური ბონუსის ოდენობის 50%-ს და უზრუნველყოფს ბონუსს ნაღდი ანგარიშსწორებით, უფლების მომსახურების პირობების გარეშე.

ჯილდო N2 - დასაქმებულის ჯამური ბონუსის მეორე ნაწილი ენიჭება უფლებამოსილ დასაქმებულებს, მომავალი ნაღდი ანგარიშსწორებისთვის და ექვემდებარება გარკვეულ უფლების მომსახურების პერიოდს. უფლების მომსახურების პერიოდის გასვლის შემდგომ, მეორე ჯილდოსთან დაკავშირებული ნაღდი ანგარიშსწორება ხდება დასაქმებულის მოთხოვნისა და ნაღდი ანგარიშსწორების ოდენობა განისაზღვრება კომპანიის მართვის შესრულების მაჩვენებლის (რომელიც კომპანიის მოგებას წარმოადგენს) გარკვეული პროცენტის მიხედვით.

ჯილდო N1 ხარჯად აღიარდება მისი გაწვევისას, მომსახურების პირობების არარსებობის გამო, ხოლო ჯილდო N2 ამორტიზებულია მომსახურების პერიოდის მანძილზე და აკმაყოფილებს „დაქირავებულ მომუშავეთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები“-ს განმარტებას, ბასს 19-ის „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. 2024 წელს, ჯგუფმა/კომპანიამ აღიარა მეორე ჯილდოსთან დაკავშირებული 39 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი (2023: 299 ათასი ლარი). 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, მეორე ჯილდოსთან დაკავშირებული დასაქმებულთა გასამრჯელოები კლასიფიცირდება გრძელვადიანი ვალდებულების სახით, რადგან მათი დაფარვის ვადა 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დგება.

(b) ოპერაციები შვილობილ კომპანიებთან

(i) სხვა შემოსავალი

კომპანია	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი	
	2024	2023	2024	2023
'000 ლარი				
სხვა შემოსავალი	227	4,465	136	2,268

(ii) ხარჯები

კომპანია	გარიგების ღირებულება 2024	დაუფარავი ნაშთი 2024	გარიგების ღირებულება 2023	დაუფარავი ნაშთი 2023
'000 ლარი				
გაყიდვების და კომერციული ხარჯები	472	970	255	414

(iii) გაცემული სესხები

კომპანია	გარიგების ღირებულება 2024	დაუფარავი ნაშთი 2024	გარიგების ღირებულება 2023	დაუფარავი ნაშთი 2023
'000 ლარი				
გაცემული სესხები	1,280	1,919	465	498

გარიგების ღირებულებები სესხებისთვის ასახავს თავდაპირველ ფულად შემოსულობებს და არ ითვალისწინებს გარიგებების დაკმაყოფილებას. 2024 წელს, 89 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო შემოსავალი (2023: 14 ათასი ლარი) დაერიცხა კომპანიის მიერ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებს.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

20. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

21. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის და კომპანიის მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის დაწყების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ინფორმაცია ჯგუფის/კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 11.

(c) ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა.

(d) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის/კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა ან ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მათი დარიცხვისთანავე მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(e) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(f) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების სახით თუ ჯგუფს/კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს ამგვარი თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისთვის და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(g) დასაქმებულთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები

ჯგუფის/კომპანიის წმინდა ვალდებულება დასაქმებულთა გრძელვადიან გასამრჯელოებთან მიმართებაში წარმოადგენს მომავალი გასამრჯელოს ოდენობას, რომელიც დასაქმებულებმა გამოიმუშავეს მიმდინარე და წინა პერიოდებში მათ მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გადაფასება აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობის პერიოდში.

(h) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც მესაკუთრეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო კონტროლირებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ან/და გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან ასევე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ გადასახადთან მიმართებით, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია მოგების გადასახადის დარიცხვა გარკვეულ გარიგებებზე რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდებებზე და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებზე. ჯგუფი/კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(i) მარაგები და გაყიდვების თვითღირებულება

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად და ასევე, ითვალისწინებს მომწოდებლებთან მოლაპარაკებულ ფასდათმობებს (მაგ. რეტრო-ბონუსები).

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

გაყიდვების თვითღირებულება წარმოადგენს მომწოდებლებისგან განხორციელებული შესყიდვების წმინდა ღირებულებას, მომწოდებლებისგან მიღებული ფასდაკლებების, ფასდათმობების და წამახალისებელი რეზერვების გამოკლების შემდეგ, კორექტირებული მარაგების საწყისი და საბოლოო ნაშთების მიხედვით. ფასდათმობები მოიცავს მოცულობასთან დაკავშირებულ და სარეკლამო ფასდათმობებს და მიღებულია საქონლის შესყიდვასთან ან სარეკლამო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის განცალკევებადი.

(j) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში/კომპანიაში შემოედინება.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან საწარმოს შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	0-50 წელი;
– მაღაზიის ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	2-20 წელი;
– კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	2-20 წელი;
– საიჯარო კეთილმოწყობა	5-6 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები	5-8 წელი;
– სხვა	3-20 წელი;

ცვეთის მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(k) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს.

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში. როდესაც ხდება იმ საინვესტიციო ქონების გაყიდვა, რომელიც ადრე ძირითადი საშუალებების სახით იყო კლასიფიცირებული, ნებისმიერი დაკავშირებული ოდენობა შეტანილი გადაფასების რეზერვში გადატანილია გაუნაწილებელ მოგებაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. შენობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით (30 წელი) და შექმნილია აქტივების ჩამოწერის მიზნით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე.

(l) იჯარები

ჯგუფმა/კომპანიამ ფასს 16 "იჯარების" გამოყენება 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. ჯგუფი/კომპანია ირჩევს გამოიყენოს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, ჯგუფი/კომპანია როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს შესაბამისი აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს, რაც კომპანიის მიერ საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას ასახავს.

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

(i) როგორც მოიჯარე

ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას ჯგუფს/კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს ჯგუფის/კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის/კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი/კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ ჯგუფი/კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, ჯგუფი/კომპანია იყენებს პორტფელის მიდგომას მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებზე, ვინაიდან ხელმძღვანელობა გონივრულად მოელის, რომ სტანდარტის პორტფელზე გამოყენების გავლენა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად არ განსხვავდება სტანდარტის პორტფელში არსებულ ინდივიდუალურ იჯარებზე გამოყენებისგან. ამ შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია იყენებს იმ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც პორტფელის ზომასა და შემადგენლობას შეესაბამება.

ჯგუფმა/კომპანიამ აირჩია გამოიყენოს ერთი დისკონტირების განაკვეთი მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. ჯგუფმა/კომპანიამ აირჩია გამოიყენოს პორტფელის აღრიცხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებისთვის.

(მ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც ჯგუფი/კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი/კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, ჯგუფმა/კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი/კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი/კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი/კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი/კომპანია ასკვნის რომ ცვლილება არსებითია შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი/კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას ჯგუფი/კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას ჯგუფი/კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ მოდიფიცირებას (ან გაცვლას), მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი/კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

ჯგუფი/კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი/კომპანია ასკვნის რომ ცვლილება არსებითია შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალსე ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი/კომპანია წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსური აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის განახორციელებს ოპერაციას, რომლითაც გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, ოპერაციაში, რომლითაც, არსებითად ყველა რისკისა და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურების გადაცემა ხდება.

ჯგუფი/კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი/კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი/კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(n) კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(o) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი/კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

ჯგუფი/კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი/კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის/კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი/კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის/კომპანიის მიმართ, ჯგუფის/კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

ჯგუფი/კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი/კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფის/კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი/კომპანია) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში ჯგუფი/კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის/კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი/კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს/კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ჯგუფი/კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი/კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის/კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის/კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენება ნებადართულია); თუმცა ჯგუფს/კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

ჯგუფი/კომპანია ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ ჯგუფის/კომპანიის მოგების ან ზარალის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი/კომპანია ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).

23. შემდგომი მოვლენები

(a) დივიდენდები

2025 წელს, კომპანიამ მის მესაკუთრეებზე გამოაცხადა 53,817 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, რომლიდანაც 44,850 ათასი ლარის დივიდენდი გადახდილი იქნა ფულადი სახით და 8,967 ათასი ლარის გადასახდელი დივიდენდი გაიქვითა მესაკუთრეების მიმართ მოთხოვნებთან.

(b) სხვა მოვლენები

2025 წლის ივლისში, კომპანიამ შეისყიდა შპს ალტო ჰოლდინგის 77%-იანი წილი 2,618 ათასი აშშ დოლარის სანაცვლოდ, რომლიდანაც წინამდებარე ანგარიშგების დამოწმების თარიღისთვის 1,200 ათასი აშშ დოლარი გადახდილია ფულადი სახით.

შპს ალტო ჰოლდინგის ძირითადი საქმიანობა იქნება მზის პანელების მონტაჟი, ასევე ელექტროენერგიის გენერაცია და რეალიზაცია.

შპს ორი ნაბიჯი
მმართველობის ანგარიშგება კონსოლიდირებული
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

1.	ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები.....	3
1.1.	ზოგადი ინფორმაცია	3
1.2.	შიდა სტრუქტურა და ბიზნეს-პროცესები	3
1.3.	შედეგები და მდგომარეობის ანალიზი.....	4
1.4.	ჯგუფის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
1.5.	ჯგუფის საქმიანობა და განვითარების გეგმები	6
1.6.	კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	7
1.7.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	7
2.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	7
2.1.	ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი	7
2.2.	საკანონმდებლო რისკი.....	7
2.3.	საოპერაციო რისკი.....	7

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ორი ნაბიჯის“ და მისი შვილობილი კომპანიების შპს „ორი ნაბიჯი დელივერის“, შპს „ბურდოს“ და შპს „ზინათის“ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას.

შპს „ორი ნაბიჯი“ დაარსდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ძირითადი საქმიანობა საცალო მაღაზიების ოპერირებაა, რომლებშიც კომპანია ყიდის საკვებს, სასმელს და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქციას. კომპანიის იურიდიული მისამართია: მინდელის ქუჩა #3, შენობა #3, კომერციული ფართი #1, ქ. თბილისი, საქართველო. ამავე მისამართზე მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისიც.

ჯგუფი 2024 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 529 მაღაზიით, რომლებიდანაც 291 მდებარეობს თბილისში, 43 ქვემო ქართლში, 49 იმერეთში, 38 კახეთში, 22 აჭარაში, 28 სამეგრელოში, 14 მცხეთა-მთიანეთში, 22 შიდა ქართლში და 22 საქართველოს სხვა რეგიონებში.

შპს „ორი ნაბიჯი დელივერი“ დაარსდა 2022 წელს, რომლის 100% წილის მფლობელია შპს „ორი ნაბიჯი“, რომლის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს შპს „ორი ნაბიჯი“-ს პროდუქციის მიტანის სერვისის ორგანიზება და მართვა. კომპანიის იურიდიული მისამართია: მინდელის ქუჩა #3, შენობა #3, კომერციული ფართი #1, ქ. თბილისი, საქართველო.

შპს „რითეილ რიალ ისთეითი“ დაარსდა 2024 წელს, რომლის წილის მფლობელია შპს „ორი ნაბიჯი“, რომლის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების შეძენა, მშენებლობა და მართვა. შპს „ბურდო“ დაარსდა 2023 წელს, რომლის 60% პროცენტის წილის მფლობელია შპს „რითეილ რიალ ისთეითი“, რომლის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების შეძენა, მშენებლობა და მართვა.

შპს „ზინათი“ დაარსდა 2023 წელს, რომლის 60% პროცენტის წილის მფლობელია შპს „რითეილ რიალ ისთეითი“, რომლის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების შეძენა, მშენებლობა და მართვა.

2024 წლის ბოლოს ჯგუფში დასაქმებულია 4 800 - მდე თანამშრომელი.

დღეისათვის „ორი ნაბიჯი“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერს საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარზე. კომპანია წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას ახალი და უსაფრთხო პროდუქციის მისაღებ ფასად შეთავაზების გზით.

1.2. შიდა სტრუქტურა და ბიზნეს-პროცესები

შპს „ორი ნაბიჯის“ შიდა სტრუქტურა ოპტიმიზებულია და მაქსიმალურად არის მორგებული კომპანიის შიდა პროცესებზე.

აღნიშნულ ბიზნეს-პროცესებს წარმოადგენს:

- შესყიდვებისა და დისტრიბუციის ორგანიზება;
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ვადიანობისა და ფიზიკური მდგომარეობის კონტროლი;
- თანამშრომელთა განაწილება მაღაზიების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

- ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლი;
- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ბრენდის და რეპუტაციის ზრდა

შიდა მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:


- საცალო ქსელის მართვა
- კომერციული
- მიწოდების ჯაჭვის მართვა
- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ადამიანური რესურსების მართვის და ორგანიზაციული განვითარება
- მარკეტინგული
- ფინანსური
- ხარისხის მართვა და შესაბამისობა
- იურიდიული
- უსაფრთხოება
- პროექტების მართვა
- ელექტრონული კომერცია



თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს დირექტორი/სამსახურის უფროსი, რომლებიც ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს.

1.3. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

ჯგუფი ინტენსიურად იზრდებოდა ბოლო წლებში, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაღაზიების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული თანხები, ასევე ჯგუფის შემოსავლები:







2019-2024 წელს გრძელვადიანი აქტივების ზრდის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული არის ახალი ფასს 16 (იჯარა) სტანდარტის დანერგვით. 2024 წელს აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო მუხლი შეადგენს 102 418 ათას ლარს.

1.4. ჯგუფის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მაღაზიების რაოდენობის, ძირითადი საშუალებებში ინვესტირებული თანხებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ხორციელდება.





ათასი ლარი	2024	2023
შემოსავალი	1 355 580	1 116 493
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(1 112 099)	(906 479)
საერთო მოგება	243 481	210 014
საერთო მოგების მარჟა	18.0%	18.8%

სხვა ფინანსური ინფორმაცია დეტალურად არის განხილული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

1.5. ჯგუფის საქმიანობა და განვითარების გეგმები

დაარსების დღიდან „ორი ნაბიჯის“ ძირითად საქმიანობას საცალო ვაჭრობის ქსელის განვითარება და მართვა წარმოადგენს. ჯგუფის სტრატეგია არის მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის ყოველდღიური საჭიროების პროდუქტების და ახალი ხილის მისაღებ ფასად შეთავაზება მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს. აღნიშნული სიახლოვე და შეთავაზებული ასორტიმენტი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

ჯგუფი აქტიურად აგრძელებს საცალო ქსელის განვითარებას საქართველოს მასშტაბით.

2022 წელს ჯგუფმა დაწერა ელექტრონული კომერციის ბიზნეს პორტალი, რომლის საშუალებითაც თბილისის მასშტაბით მომხმარებელს სთავაზობს სასურველ ადგილას საქონლის მიწოდების სწრაფ და ხარისხიან სერვისს. აღნიშნულის ფარგლებში 2022 წელს შპს „ორი ნაბიჯი“ დააფუძნა შპს „ორი ნაბიჯი დელივერი“ რომელიც უზრუნველყოფს პლატფორმის ოპერირების საშუალებით პროდუქციის მიტანის სერვისის ორგანიზებასა და მართვას.

მსოფლიო ტრენდებიდან და დასახული მიზნებიდან გამომდინარე ჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს ჯგუფს მეტი კომფორტი შეუქმნას საკუთარ მომხმარებელს. ამ მიზნით დანერგილია ლოიალურობის 2x2 ბარათი“, რომელიც მომხმარებლისათვის წარმოადგენს ბარათზე ქულების დაგროვების, მათი გამოყენების, ფასდაკლებების, ჯილდოების, სპეციალური შეთავაზებებისა და სხვა დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობას.

აგრეთვე, ჯგუფში დიდ ყურადღება ეთმობა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და სხვადასხვა სახის სამოტივაციო სქემების დანერგვას, რაც განაპირობებს მაღალი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

1.6. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

1.7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფს არ გამოუშვია და არც შეუძენია საკუთარი აქციები მიმდინარე სააღრიცხვო წელს.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

ჯგუფი მხოლოდ საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორცაა: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა.შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

ჯგუფი საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია, ჯგუფიც დგას საოპერაციო რისკების წინაშე. ჯგუფში შექმნილია ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება ტოპ მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველთვიური რეპორტირებისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებზე დეტალური ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში.

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი, ფინანსური დირექტორი

შოთა გიორგაძე

აგრეთვე, ჯგუფში დიდ ყურადღება ეთმობა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და სხვადასხვა სახის სამოტივაციო სქემების დანერგვას, რაც განაპირობებს მაღალი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

1.6. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

1.7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფს არ გამოუშვია და არც შეუძენია საკუთარი აქციები მიმდინარე სააღრიცხვო წელს.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

ჯგუფი მხოლოდ საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორცაა: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

ჯგუფი საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია, ჯგუფიც დგას საოპერაციო რისკების წინაშე. ჯგუფში შექმნილია ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირიულად განიხილება ტოპ მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველთვიური რეპორტირებისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავებების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებზე დეტალური ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში.

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი, ფინანსური დირექტორი

შოთა გიორგაძე